2015-17 წლების სამოქმედო გეგმის ცხრილის შევსების ინსტრუქცია

1. პროექტის დასახელება - აღნიშნულ გრაფაში იწერება კონკრეტული პროექტის/ ღონისძიების/სამუშაოს სახელწოდება;

2. მოსალოდნელი შედეგი - კონკრეტული პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი რაოდენობრივი ან თვისობრივი შედეგები;

3. ადგილმდებარეობა - კონკრეტული ადგილი, სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება (ქალაქის, სოფლის ან სხვა ადგილის სახელწოდება); თუ პროექტი ხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით და ეროვნულია მაშინ რეგიონის გრაფაში მიუთითეთ- „ყველა რეგიონში“ ; თუ ერთ ან რამდენიმე რეგიონში ხორციელდება მაშინ მიუთითებთ იმ კონკრეტულ რეგიონებს; მუნიციპალიტეტისა და სოფლების გრაფაში გთხოვთ მიუთითოთ ის მუნიციპალიტეტი/ მუნიციპალიტეტები სადაც ხორციელდება პროექტი, შესაბამისი სოფლების დაკონკრეტებით.

4. პროექტის ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო - აღნიშნულ გრაფაში მითითებულია წყაროები: ცენტრალური ბიუჯეტი, საერთაერთაშორისო დონორები და კერძო სექტორის დაფინანსება. შესაბამისად, პროექტის სავარაუდო ღირებულება იწერება იმ გრაფაში, რომლიდანაც მოსალოდნელია (დაგეგმილია) ამ პროექტის დაფინანსება.

5. პროექტის განხორციელების ვადები და ბიუჯეტის განაწილება- აღნიშნულ გრაფაში მითითებულია 2015, 2016 და 2017 წლები, რომლებიც თავის მხრივ იყოფა შემდეგ გრაფებად „დაწყება“, „დასრულება“ და „სავარაუდო ბიუჯეტი“. „დაწყების“ და „დასრულების“ გრაფაში უნდა მიეთითოს კონკრეტული თარიღი და თვე, ხოლო „სავარაუდო ბიუჯეტის“ გრაფაში კონკრეტულ წელს პროექტზე გამოსაყოფითანხა. თუ პროექტი მრავალწლიანი, მაგალითად, იწყება 2015 და მთავრდება 2017 წელს, შესაბამისად 2015 წლის „დაწყების“ გრაფაში ჩაიწერება პროექტის დაწყების კონკრეტული თარიღი და თვე, „სავარაუდო ბიუჯეტის“ გრაფაში 2015 წელს პროექტზე გამოსაყოფითანხა, 2016 წლის „სავარაუდო ბიუჯეტის“ გრაფაში 2016 წელს პროექტზე გამოსაყოფითანხა, ხოლო 2017 წლის „დასრულების“ გრაფაში პროექტის დასრულების კონკრეტული თარიღი და თვე, „სავარაუდო ბიუჯეტის“ გრაფაში კი 2017 წელს პროექტზე გამოსაყოფითანხა. (2015 წლის „დასრულების“, 2016 წლის „დაწყებისა“ და „დასრულების“ და 2017 წლის „დაწყების“ გრაფების შევსება აღარ ხდება).

ცხრილის სვეტში „6. პროექტის ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო“ ჩაწერილი თანხა უნდა შეესაბამებოდეს (უდრიდეს) „7. ხანგრძლივობა და პროგრესი“ სვეტებში ჩაწერილი თანხების ჯამს!

6. პასუხისგებელი ორგანიზაცია - სამინისტრო, საქვეუწყებო

7. პარტნიორი ორგანიზაცია - პარტნიორი ორგანიზაციის სახელწოდება, მაგ: დონორი ან არასამთავრობო ორგანიზაციის სახელწოდება, კერძო იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელწოდება/ვინაობა.

8. შენიშვნის გრაფაში მიუთითეთ რამდენად ზუსტია პროექტის შესახებ ცხრილში ჩაწერილი მონაცემები და ინფორმაცია პროექტის ბიუჯეტის შესახებ, ასევე მიუთითეთ მოსალოდნელია არის თუ არა ცვლილება ამ სამი წლის განმავლობაში და თუ ვარაუდი გაქვთ მიუთითეთ დრო როცა ელით ცვლილებებთ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით. ასევე შეგიძლათ მიუთითოთ სხვა სახის სასარგებლო ინფორმაცია, თუ თვლით, რომ ის დაგვეხმარება პროექტის შესახებ სრული სურათის დანახვაში.